



**ევროკავშირი**  
**საქართველოსთვის**  
Project funded by the European Union



**KFW**



აჭარის წყლის  
ალიანსი

## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

**საინფორმაციო ბიულეტენი N27**  
**ოქტომბერი, 2022**

### სოფლის მომხმარებელთა ჯგუფები უზრუნველყოფენ მდგრადი წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურების მიწოდებას პროგრამის სოფლებში

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა აჭარის დაბებსა და სოფლებში მიზნად ისახავს დაინერგოს გამძლე და მდგრადი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

პროგრამის ფარგლებში სათანადო სტრუქტურების ჩამოყალიბება მხარდაჭერილია შემდეგი თანამშლეები ინსტიტუციური ღონისძიებების მეშვეობით: მხარდაჭერა სისტემის ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში, ტრენინგების განხორციელება დაბებსა და სოფლებში, მოსახლეობის ინფორმირება და აქტიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ინსტიტუციური განვითარება მოითხოვს მუდმივ მხარდაჭერას. აჭარის წყლის ალიანსმა კონსულტანტის დახმარებით პროგრამის დაბებისა და სოფლების მოსახლეობას გააცნო და წარუდგინა პროექტის მახასიათებლები. პროგრამაში ჩართულ სოფლებში შეიქმნა სოფლის მომხმარებელთა ჯგუფები, რათა უზრუნველყონ ჯანსაღი ინსტიტუციური ჩარჩო სოფლის მაცხოვრებლების უწყვეტი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

საწყის ეტაპზე, სოფლის მაცხოვრებლები იყვნენ ძირითადი რესურსი ადგილზე ინფორმაციის მისაღებად და აქტიურად ეხმარებოდნენ აჭარის წყლის ალიანსს და კონსულტანტებს პროგრამის ღონისძიებების კონცეპტუალური და დეტალური დიზაინის ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებაში. შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესებში. უახლეს სიახლეს სოფლის მომხმარებელთა ჯგუფების შექმნა წარმოადგენს. თითოეულ პროგრამაში ჩართულ სოფელში შეიქმნა სოფლის მომხმარებელთა ჯგუფი, რომელშიც სოფლის ყველა მაცხოვრებელია გაწევრიანებული. სოფლის მომხმარებელთა ჯგუფს ყავს სოფლის მომხმარებელთა ჯგუფის საბჭო.

სოფლის მომხმარებელთა ჯგუფებს აქვთ შემდეგი განსაზღვრული როლები:

- ერთობლივად იზრუნონ წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურაზე; უზრუნველყონ სოფლის მაცხოვრებლებისთვის უწყვეტი მომსახურების მიწოდება, ყველა ობიექტის ადეკვატური ფუნქციონირებით და სოფლის მაცხოვრებლების წვლილით ექსპლუატაციისა და ტექნიკური ხარჯების დაფარვაში;
- შეიმუშაო რეკომენდაციები ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისა და გამოყენების მიზნით. მიაწოდონ რეკომენდაციები აჭარის წყლის ალიანსს და მუნიციპალურ კომუნალურ სამსახურებს;
- დააკვირდნენ წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის. დაეხმარონ ოპერატორებს ობიექტების გამართულ მუშაობასა და მოვლაში;
- მიაწოდონ სოფლის წყალმომარაგების და წყალარინების საკითხები აჭარის წყლის ალიანსს;

სოფლის მომხმარებელთა ჯგუფის საბჭო შედგება წევრებისაგან, რომლებიც აირჩევიან ერთი წლით. სოფლის მომხმარებელთა ჯგუფის საბჭო დაეხმარება აჭარის წყლის ალიანსს და მუნიციპალურ კომპანიებს სოფლის სისტემების ოპერირებისთვის ოპერატორების შერჩევაში.

სოფლის მომხმარებელთა ჯგუფები უზრუნველყოფენ პროგრამის სოფლების მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის ინსტიტუციონალიზებას და შენარჩუნებას.



#### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Project funded by the European Union



KfW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

NEWSLETTER N27

OCTOBER, 2022

### Village User Groups Ensure Sustainable Water Supply and Wastewater Services In The Rural Programme Villages

The Ajara Rural Water Supply and Programme in the Semi-urban Areas and Villages of Ajara aims at the implementation of resilient and sustainable Water Supply and Wastewater systems.

The programme implementation is assisted by accompanying institutional measures to establish adequate structures, assistance and training for operation and maintenance of the systems and active participation of the inhabitants of semi urban centers - dabas and programme villages.

The institutional development requires continuous assistance. The Ajara Water Alliance, with consultant assistance has introduced and presented the programme features to the inhabitants of dabas and villages in the entire programme region. In the rural programme villages, Village User Groups were established to provide a sound institutional framework to ensure a continuous participation of the village inhabitants.

During the initial step, the members of the village inhabitants were the key resource to provide onsite information and actively helped the Ajara Water Alliance and the consultants in adequately tailor the conceptual and detailed design of programme measures and hence actively participated in the respective processes.

The latest development is the establishment of the Village User Groups. In each programme village a Village User Group was established in which all inhabitants of each program village are members. Each Village User Group maintains a Village User Group Board, which is representing the Village User Group.

The Village User Groups have the following roles:

- jointly take care of the water supply and wastewater infrastructure, ensuring uninterrupted service provision to all village inhabitants, by adequate functioning of all facilities and the contribution of the village inhabitants in covering operation and maintenance costs;
- develop recommendations on how to best further develop and utilize the infrastructure and provide these recommendations to the Ajara Water Alliance and the municipal utilities municipality;
- Observe and discuss all issues related to the water supply and wastewater infrastructure and guide the operators in properly operating and maintaining the facilities;
- Communicate the village issues to the Ajara Water Alliance;

The Village User Group Board consists of members that are elected for one year. The Council of the Village User Group will assist the Ajara Water Alliance and the municipal utility in selecting operators to operate the systems in the village.

The Village User Groups ensure that the active participation of the population of the programme villages is institutionalized and be sustained.



#### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Waste Water Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge